06 AUGUST
RUGĂCIUNEA
SCHIMBĂRII LA FAȚĂ A DOMNULUI

ლოცვა

უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, ნათელო მოიწვდომელო, ბრწყინვალებაო მამისა დიდებისაო და ხატო მისისა გვამისაო! რაჟამს მოაწია აღსრულებამ ჟამისა, შენ კაცთა დაცემული მოდგმისადმი გამოუთქმელისა შენისა გულმოწყალებისა გამო, თავი დაიმდაბლე, ხატი მონისა მიიღე და სიმდაბლითა და მორჩილებითა სიკვდილიც იგემე. გარნა უწინარეს ჯვარცმისა და ნებსითი ტანჯვისა შენისა, თაბორის მთასა ზედა ფერი იცვალე ღმრთეებრივითა დიდებითა შენითა წინაშე წმიდათა მოწაფეთა შენთა, რათა რაჟამს ჯვარზე გაკრულსა და სიკვდილისათვის მიცემულს გიხილავდნენ, ვნებაჲ შენი ნებსითი და ღმრთეებაჲ შენი გულისხმაეყოთ. მოგვანიჭე ჩვენც, ყოველთა მედღესასწაულეთა ყოვლადწმიდისა ხორცისა შენისა ფერისცვალებისა, რათა წმინდითა გულითა და უბიწო გონებითა აღვიდეთ მთასა ზედა წმიდასა შენსა, საყოფელსა წმიდისა დიდებისა შენისასა, სადა არს გალობაი წმიდათა მედღესასწაულეთა, გალობაჲ გამოუთქმელი სიხარულისა, რათა იქ მათ თანა პირისპირ ვჭრეტდეთ დიდებასა შენსა დაუღამებელსა დღესა შინა სასუფეველსა შენსა და ყოველთა წმიდათა საუკუნითგან სათნომყოფელთა შენთა თანა ვადიდებდეთ ყოვლადწმიდასა სახელსა შენსა თანდაუსაბამოჲთ მამით შენით და ყოვლადწმიდით,

სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ აწ
და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ფერისცვალების
დაუჯდომელი საგალობელი სპეციალურად ფერისცვალების
მამათა მონასტრისთვის ითარგმნა, რომელიც თბილისში
თაბორის მთაზე აშენდა უწმინდესის ლოცვა-კურთხევით.
მოიძია ელენე აბუსერიძემ ვრველდება ბათუმის წმ.
პანტელეიმონის ტაძრის წინამძღვრის მამა ლუკას ლოცვა
კურთხევით.